მიკროკრედიტების სახელმძღვანელო

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თბილისი, 2025

განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

Co-funded by
the European Union

Micro-GEAR

ავტორები

- ლაშა მარგიშვილი
- ქეთევან ფანჩულიძე
- ნინო გოგლიჩიძე
- ანა კამლაძე

სარჩევი

I. შესავალი 3
II. მიკროკრედიტების დეფინიცია 3
III. მიკროკრედიტების მიზნები 3
IV. მიკროკრედიტის მახასიათებლები 4
4.1 მიკროკრედიტების მოცულობა 6
V. მიკროკრედიტის შემუშავება და ხარისხის უზრუნველყოფა 6
VI. მიკროკრედიტების განხორციელების უფლების მოპოვება 7
VII. მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით განაცხადის წარდგენა ცენტრში 8
VIII. მიკროკრედიტის განხორცილების უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი განაცხადის განხილვა 10
IX. ექსპერტთა ჯგუფის ფორმირება 11
X. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 12
XI. მიკროკრედიტის განხორცილების უფლების მოპოვების მიზნით განხორციელებული ვიზიტის დასკვნის მომზადება 12
XII. ეტაპი - მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება 13
XIII. მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტები (პროექტი) 14
XIV. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის აღმწერებთან მიკროკრედიტის სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრა 32
XV. მიკროკრედიტის კურსის შემუშავება 33
XVI. მიკროკრედიტების აღიარება 42
16.1 მიკროკრედიტების სერტიფიკატებსა და სამკერდე ნიშნებს (BADGES) შორის ურთიერთმიმართება 44
16.2 ციფრული სერტიფიცირება და ბლოკჩეინის გამოყენება 48

I. შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო განსაზღვრავს მიკროკრედიტების შემუშავების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განხორციელების პრინციპებს საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (GNQF) ფარგლებში. იგი ეფუძნება მიკროკრედიტების ევროპულ მიდგომას[1], ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის სტანდარტებსა და რეკომენდაციებს ხარისხის უზრუნველყოფისთვის (ESG-2015) და მიზნად ისახავს განათლების პროვაიდერებისა და ინდუსტრიის მხარდაჭერას მიკროკრედიტების განხორციელებაში.

სახელმძღვანელო მოიცავს:

- მიკროკრედიტების არსისა და დანიშნულების განმარტებას;
- მიკროკრედიტების შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და პროცედურებს;
- მიკროკრედიტების შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგიას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის აღმწერებთან.

II. მიკროკრედიტების დეფინიცია

მიკროკრედიტი არის მცირე მოცულობის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ადასტურებს ადასტურებს მსმენელის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.განხორციელებულია სანდო პროვაიდერის მიერ, ორიენტირებულია ინდუსტრიის, შრომის ბაზრის ან საზოგადოების საჭიროებებზე და შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს. მიკროკრედიტი შეიძლება განხორციელდეს, როგორც დამოუკიდებელი პროგრამა, ან გაერთიანდეს სხვა მიკროკრედიტებთან. მიკროკრედიტი შესაძლოა აღიარებულ იქნეს, როგორც წინარე განათლება უფრო ფართო კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის.

მიკროკრედიტი ხორციელდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონეებზე და აისახება ეროვნული კვალიფიკაციების ელექტრონულ რეესტრში.

III. მიკროკრედიტების მიზნები

მიკროკრედიტები მიზნად ისახავს უზრუნველყოს:

[1] Council Recommendation of 16 June 2022 on a European approach to micro-credentials for lifelong learning and employability 2022/C 243/02 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32022H0627(02)

- მიზნობრივი სწავლა, რომელიც პასუხობს სწრაფად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
- უნარების განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; ბიზნესი და ადმინისტრირება; განათლება; ხელოვნება; ტურიზმი და სხვ.
- განათლების ხელმისაწვდომობა და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრაში წვლილის შეტანა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც სრულ კვალიფიკაციაზე წვდომის ნაკლები შესაძლებლობა აქვს.
- პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

IV. მიკროკრედიტის მახასიათებლები

მსოფლიოს მასშტაბით არ არსებობს მიკროკრედიტების დეფინიციის ერთგვაროვანი გაგება, თუმცა სწავლის ამ გამოცდილებასთან დაკავშირებული ყველა განმარტება შესაძლებელია შეჯერდეს იმაზე, რომ ეს არის მცირე მოცულობის სასწავლო გამოცდილება, რომელიც ფოკუსირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეძენა-განვითარებაზე. მიკროკრედიტის მეშვეობით უზრუნველყოფილია აღნიშნული სასწავლო გამოცდილების პორტაბელურობა (Portability) და კომბინირება სხვა მიკროკრედიტებთან უფრო ფართო კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის.

მიკროკრედიტებს მსოფლიოს მასშტაბით შემდეგი საერთო მახასიათებლები აქვთ:

- ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მცირე ერთეულების შეძენა, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა და ღირებულება აქვთ დასაქმების ბაზრისთვის ან პროფესიული საჭიროებებისთვის;
- ვერიფიკაცია აღიარებული და სანდო განმახორციელებლის მიერ (მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულება ან ინდუსტრიული ორგანიზაცია);
- ციფრული არტეფაქტის, მაგალითად, ციფრული სერტიფიკატის ან სამკერდე ნიშნის გაცემა, რომელიც განიხილება ტრადიციული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ალტერნატივად.[2]

[2] C.O.L. 2019. Designing & Implementing Micro-Credentials: A Guide for Practitioners https://www.che.ac.ls/wp-content/uploads/2019/09/14-Designing-and-Implementing-Micro-Credentials-A-Guide-for-Practitioners.pdf

მიკროკრედიტებს გააჩნიათ სპეციფიური დამახასიათებელი თავისებურებები, რომლებიც დაჯგუფებულია ქვემოთ:

- **კომბინირებადი კრედიტი:** ზოგიერთი დაწესებულება მსურველებს სთავაზობს კომბინირებად მიკროკრედიტებს, რომლის ინდივიდუალური კრედიტები შეიძლება დაგროვდეს უფრო ფართო კვალიფიკაციის მისაღებად;
- **წინარე განათლების აღიარება:** მიკროკრედიტები გვთავაზობენ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების აკუმულირებისა და კომბინირების შესანიშნავ შესაძლებლობას და წინარე განათლების აღიარების გზით შესაძლებელს ხდიან უფრო ფართო კვალიფიკაციების მოპოვებას;
- **კურსდამთავრებულთა ცოდნის შევსება:** ხშირად მოელიან, რომ ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსდამთავრებულებმა განივითარონ ის უნარები და მახასიათებლები, რომლებიც მათი ძირითადი კვალიფიკაციის ფარგლებს სცდება ან უფრო ფოკუსირებულად შეისწავლის მას კონკრეტული მიმართულებით. ამ საკითხების ნაწილის შესწავლა შესაძლებელია სპეციფიკური ცოდნისა და უნარების დაუფლებას ემსახურებოდეს, ან მეტად იყოს დაკავშირებული ე.წ. რბილი უნარების განვითარებასთან, ეთიკასთან ან სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან. მიკროკრედიტები, თავიანთი მცირე მოცულობის, განსხვავებული და ფოკუსირებული ხასიათის გამო, ეხმარება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს საჭიროებების შესაბამისად გაიუმჯობესონ შესაბამისი უნარები.[3] **(University of Melbourne, 2021).**

მიკროკრედიტი:

- უნდა იყოს მიზნობრივი - ფოკუსირებული კონკრეტული უნარის, ცოდნის ან კომპეტენციის შეძენაზე ან განვითარებაზე.
- აღწერილი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და გამჭვირვალე სწავლის შედეგებით, გავლილი ჰქონდეს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები.
- შემუშავებისა ან/და განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების: ინდუსტრიის წარმომადგენლების, დარგობრივი ასოციაციებისა და მარეგულირებელი უწყებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დამსაქმებლების ჩართულობა.
- განხორციელების პროცესი უნდა იყოს მოქნილი და უზრუნველყოფდეს პირისპირ, ონლაინ ან შერეული ფორმატით სწავლის შესაძლებლობებს.

[3] O'Leary, Paul; Zeta Dooley; Ken McCarthy. 2022. A Quality Framework for HE Micro-Credentials. 8th International Conference on Higher Education Advances (HEAd'22) Universitat Politecnica de Valencia. https://headconf.org/wp-content/uploads/pdfs/14673.pdf

4.1 მიკროკრედიტების მოცულობა

კრედიტების მოცულობის დიაპაზონი ქვეყნების მიხედვით მერყეობს, ზოგიერთ ქვეყანაში დაწესებულია მხოლოდ ზედა ზღვარი, რომელიც რიგ შემთხვევებში 40-45 კრედიტს უტოლდება. თუმცა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, იმისთვის რომ მიკროკრედიტ-პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდეს რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი სწავლის შედეგები და შესაბამისი რელევანტური მექანიზმებით შესაძლებელი იყოს აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვა და შეფასება, მიზანშეწონილია მიკროკრედიტების მინიმალური მოცულობა განისაზღვროს არანაკლებ 1 ECTS კრედიტის, ხოლო მაქსიმალური - არაუმეტეს 30 ECTS კრედიტის მოცულობით, რომელიც „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების თანახმად არის ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვის ნახევარი.

V. მიკროკრედიტის შემუშავება და ხარისხის უზრუნველყოფა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ 2023 წელს შემუშავებულ სახელმძღვანელოში „მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფა: მოლოდინები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების კონტექსტში" მითითებულია, რომ მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, ზოგადად ეროვნულ კონტექსტზეა დამოკიდებული და მოითხოვს არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომების გათვალისწინებას. გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები მიკროკრედიტების სპეციფიკის მიხედვით უნდა იყოს ადაპტირებული და მოქნილი. თავის მხრივ კი, მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფა უნდა დაეფუძნოს უკვე არსებულ მოწყობას.

- მიკროკრედიტების ჩართვა გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში სარგებლიანია, თუმცა მიკროკრედიტების პრაქტიკაში დანერგვა მრავალწახნაგოვანი და კომპლექსური პროცესია.
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში უმთავრესად პრიორიტეტულია მიკროკრედიტების გამჭვირვალობა, აღიარება, კომბინირებადობა (stackability) და პორტაბელურობა.

- მიზანშეწონილია, განხილულ იქნეს დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა მოდელები, რაც ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს საშუალებას მისცემს გადახედონ თავიანთ უფლებამოსილებასა და როლებს.[4]

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სტანდარტები ეფუძნება ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG - 2015), რომლებიც მიღებულია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) ფარგლებში და განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიკროკრედიტების განსახორციელებლად. ამ სტანდარტების მიხედვით, მიკროკრედიტების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა უნდა იყოს სტრუქტურირებული და გამჭვირვალე, ითვალისწინებდეს მსმენელზე ორიენტირებულ მიდგომას და ეფუძნებოდეს სწავლის შედეგებს, რათა უზრუნველყოფილ იქნესს მათი აღიარება და ეფექტიანი გამოყენება.
ეროვნულ დონეზე მიკროკრედიტების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები უნდა დაეფუძნოს უმაღლესი საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს.

VI. მიკროკრედიტების განხორციელების უფლების მოპოვება

თუ იურიდიულ პირს სურს განახორციელოს მიკროკრედიტის კურსი, ის ვალდებულია გაიაროს მიკროკრედიტების განხორციელების უფლების მოპოვების პროცესი, რომელიც ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა განმახორციელებელი დაწესებულება მიკროკრედიტის კურსებისთვის სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.
სტანდარტი - ეს არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს იურიდიული პირი, რათა მან შეძლოს შესაბამისი მიკროკრედიტის განხორციელება.

<u>სახელმწიფო მიკროკრედიტების განხორციელების უფლების მოპოვებისთვის ადგენს შემდეგ სტანდარტებს:</u>

- მიკროკრედიტის კურსის შემუშავება და განვითარება

[4] European Association for Quality Assurance in Higher Education – ENQA. 2023. QUALITY ASSURANCE OF MICRO-CREDENTIALS: Expectations within the Context of the Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area. https://www.enqa.eu/wp-content/uploads/ENQA-micro-credentials-report.pdf

- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, მიკროკრედიტის კურსის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
- მსმენელზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
- სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

მიკროკრედიტის კურსის გამხორციელების უფლება აქვს ნებისმიერ იურიდიულ პირს. იმ შემთხვევაში, თუ განმახორციელებელი დაწესებულება არ არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, იგი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს უსდ-სთან გაფორმებული ხელშეკრულება მიკროკრედიტის კურსის განხორციელების შედეგად გამომუშავებული სწავლის შედეგებისა და მოპოვებული კრედიტების აღიარების თაობაზე. უფლების მოპოვების გარეშე, შესაბამის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის გზით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ასევე შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე შემუშავებული მიკროკრედიტი/მიკროკრედიტები. შესაბამის ელექტრონულ სისტემაში უსდ-მ უნდა წარმოადგინოს თვითშეფასების ანგარიში, რომლითაც დაწესებულება აღწერს, თუ როგორ შეესაბამება მიკროკრედიტების განხორციელების უფლების მოპოვების პროცედურით დადგენილ სტანდარტებს. აღნიშნული განაცხადის ცნობად მიღების შემდეგ, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს დაწესებულების გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი.

VII. მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით განაცხადის წარდგენა ცენტრში

ცენტრში მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია როგორც ელექტრონულად (ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამოყენებით), ასევე მატერიალურად (ცენტრში ფიზიკურად მოსვლით).
ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამოყენებით განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია:

- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით - თუ თქვენს დაწესებულებაში სარგებლობთ ასეთი სისტემით;
- ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@eqe.ge -ზე მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით განაცხადის გამოგზავნით.

ცენტრში ფიზიკურად მოსვლის შემთხვევაში განაცხადის შევსებული ფორმა და თანდართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოთ ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის (დისკი, მეხსიერების ბარათი) მეშვეობით.

მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი განაცხადი შევსებული უნდა იყოს დაწესებულების სატიტულო ფურცელზე და თან დაერთოს დაწესებულების მიკროკრედიტის კურსის განხორციელების მაძიებლის თვითშეფასების შევსებული ფორმა და თვითშეფასების ფორმით განსაზღვრული დანართები. დაწესებულებას, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია წარმოადგინოს დამატებითი დანართებიც, რომლითაც ადასტურებს უფლების მოპოვების პროცედურით განსაზღვრული სტანდარტების ინდიკატორის/კრიტერიუმის/კომპონენტის შესრულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განაცხადის ცენტრში წარმოდგენა ნიშნავს, რომ მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების საქმისწარმოება ოფიციალურად დაწყებულია. უფლების მოპოვების ან უფლების მოპოვებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განაცხადის წარმოდგენის დღიდან 60 სამუშაო დღის განმავლობაში.

მიკროკრედიტებში მსმენელის დატვირთვა გამოითვლება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის მეშვეობით - ECTS კრედიტებით, სადაც 1 ECTS კრედიტის მოცულობა შეადგენს 25-30 საათს.

<u>მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოქმედების ვადა – მიკროკრედიტის განხორციელების უფლება გაიცემა 2 წლის ვადით.</u>

(დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში მიკროკრედიტის განხორციელების უფლების განაცხადის წარდგენის წესი; ბმულზე დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა და დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის შევსების გზამკვლევი იხ. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე eqe.ge.

2-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ დაწესებულება კარგავს მიკროკრედიტის განხორციელების უფლებას. მისი განხორციელების უფლების ხელახლა მოპოვებისთვის მან შესაბამისი განაცხადით უნდა მიმართოს ცენტრს.
მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი განაცხადი უნდა მოიცავდეს: შესაბამისი მიმართულებით (მაგ., ციფრული უნარები, განათლება, ტურიზმი) დამსაქმებლების, ინდუსტრიის ან საზოგადოების საჭიროებების დასაბუთებას; წარმოდგენილი უნდა იყოს დამსაქმებლებთან, პროფესიულ

ასოციაციებთან ან მარეგულირებელ უწყებასთან/სამთავრობო ორგანოებთან ჩატარებული კონსულტაციების ამსახველი ოქმები.

სწავლის შედეგების შესაბამისობა საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონესთან უნდა დადგინდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის აღმწერებთან მიკროკრედიტის სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის[5]“ შესაბამისად; იხ. ქვეთავი აღნიშნული სახელწოდებით.

VIII. მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი განაცხადის განხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 3 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს იურიდიული პირის/-დაწესებულების მიერ მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს. განხილვის მიზანია, დადგინდეს რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი განაცხადი დაწესებულების მიერ მიკროკრედიტ კურსების უფლების მოპოვების, აგრეთვე, მიკროკრედიტის განხორციელების უფლების შეჩერებისა და შეწყვეტის წესით[6]“ (შემდგომ – წესი) დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნული განხილვის პროცესში ხარვეზის დადგენის შემთხვევაში (მაგ.: არასწორად შევსებული მიკროკრედიტ კურსის განმახორციელებლის თვითშეფასების ფორმა, არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ფორმით განსაზღვრული სავალდებულო დანართები და სხვ.), ცენტრი განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, ცენტრი გამოსცემს ბრძანებას მიკროკრედიტ კურსის განხორციელების მაძიებლობის ცნობის შესახებ, ხოლო თუ ამავე ვადაში ხარვეზი არ გამოსწორდება – ბრძანებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

[5] მეთოდოლოგია შემუშავდება მიკროკრედიტების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის შემდეგ.
[6] აღნიშნული წესი შემუშავდება მიკროკრედიტების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის შემდეგ.

თუ მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს არ დაუდგინდა ხარვეზი, განაცხადის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში გამოიცემა ცენტრის დირექტორის ბრძანება მიკროკრედიტ კურსის განმახორციელებლის სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ. ხოლო განაცხადში ხარვეზის დადგენისა და აღნიშნული ხარვეზის ცენტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში გამოსწორების შემთხვევაში, მისი გამოსწორებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში გამოიცემა ცენტრის დირექტორის ბრძანება მიკროკრედიტ კურსის განმახორციელებლის სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ.

განაცხადის ხარვეზის გამოუსწორებლობის , ან განაცხადის განმეორებით ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში ცენტრი უფლებამოსილია გამოსცეს ბრძანება განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

მიკროკრედიტ კურსის განხორციელების მაძიებლად ცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ცენტრი გამოსცემს ბრძანებას ექსპერტთა ჯგუფის შექმნის თაობაზე მიკროკრედიტ კურსის განხორციელების მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.

IX. ექსპერტთა ჯგუფის ფორმირება

<u>ექსპერტთა ჯგუფში შედიან:</u>

- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- მიკროკრედიტ კურსის (კურიკულუმის) ექსპერტი;
- შესაბამისი დარგის ექსპერტი;
- მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ექსპერტი;
- მსმენელი ექსპერტი;
- დამსაქმებელი.

აღნიშნული ბრძანება გასაცნობად ეგზავნება მიკროკრედიტ კურსის განხორციელების მაძიებელს, რომელიც წინასწარ არის ინფორმირებული, თუ როდის და რა შემადგენლობით მივა მასთან ვიზიტზე ექსპერტთა ჯგუფი. მიკროკრედიტ კურსის განხორციელების მაძიებელს უფლება აქვს აღნიშნული ბრძანების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში განაცხადოს ცენტრში ექსპერტთა ჯგუფის წევრის აცილების შესახებ და წარმოადგინოს შესაბამისი დასაბუთება. აცილების საფუძველი შეიძლება გახდეს ექსპერტთა ჯგუფის წევრთან/წევრებთან არსებული ინტერესთა კონფლიქტი. ცენტრი

განიხილავს მიკროკრედიტ კურსის განმახორციელებელი მაძიებლის მიერ წარმოდგენილ აცილებას 3 სამუშაო დღის ვადაში.

X. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი

ექსპერტთა ჯგუფის ჩამოყალიბების შემდეგ ცენტრი აწვდის მათ დაწესებულების მიერ მიკოკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს. ექსპერტთა ჯგუფი სწავლობს აღნიშნულ განაცხადს და ადგენს ვიზიტის დღის წესრიგს, რომელშიც გაწერილია ვიზიტის რომელ დღეს რა საკითხი შემოწმდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ. აღნიშნულ დოკუმენტს ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით გათვალისწინებულ თარიღებში დაწესებულებაში ხორციელდება ექპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

იმისათვის, რომ დაადგინონ დაწესებულების შესაბამისობა მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვებისთვის განსაზღვრულ სტანდარტებთან, ექსპერტები სწავლობენ დაწესებულების დოკუმენტაციას, ვიზუალურად ათვალიერებენ გარემოს, ატარებენ ინტერვიუს დაინტერესებულ პირებთან. განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის განხორციელებაში, წარუდგინოს მას მიკროკრედიტის განხორცილების უფლების მოპოვების მიზნებისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია და უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი პირების ინტერვიუირება. ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას ზეპირსიტყვიერად წარუდგენს ძირითად მიგნებებს.

XI. მიკროკრედიტის განხორცილების უფლების მოპოვების მიზნით განხორციელებული ვიზიტის დასკვნის მომზადება

ექსპერტთა ჯგუფი შეიმუშავებს დასკვნის პროექტს და აგზავნის ცენტრში. ცენტრი ადგენს დასკვნის პროექტის ფორმალურ შესაბამისობას უფლების მოპოვების პროცედურით განსაზღვრულ სტანდარტებთან და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ, უგზავნის მიკროკრედიტ კურსის განხორციელების მაძიებელს.

დაწესებულებას დასკვნის პროექტის მიღებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, შეუძლია ცენტრს წარუდგინოს არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი უფლებამოსილია არგუმენტირებული პოზიცია გაითვალისწინოს საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას. საბოლოოდ ჩამოყალიბებული დასკვნა ეგზავნება დაწესებულებას და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს.

XII. ეტაპი - მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო. საბჭოს სხდომა საჯაროა. აკრედიტაციის საბჭოს სხდომის დანიშვნის შესახებ განმცხადებელ დაწესებულებას ინფორმაცია ეგზავნება არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. დაწესებულების სტატუსის მაძიებელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში. საბჭო გადაწყვეტილებას იღებას სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ამასთან, განმცხადებელ დაწესებულებას აკრედიტაციის საბჭო მიღებულ გადაწყვეტილებას უცხადებს ზეპირ მოსმენაზე. აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ფორმდება ოქმი, რომლის საფუძველზეც გამოიცემა აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ბრძანება აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის ცენტრის ვებგვერდზე მისი გამოქვეყნებისთანავე.

XIII. მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტები (პროექტი)

აღწერილობა	შეფასების კრიტერიუმი	ინდიკატორი/მტკიცებულებები
1. მიკროკრედიტ კურსის შემუშავება და განვითარება		
1.1 მიკროკრედიტის მიზანი/მიზნები		
• კურსის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, უმაღლესი განათლების 1-ელი ან მე-2 საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, რომლის ფარგლებშიც დასაშვებია აღნიშნული მიკროკრედიტის აღიარება. ასევე ითვალისწინებს მიკროკრედიტ კურსის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას მსმენელის კვალიფიკაციის ამაღლებაში, კომპეტენციების	• მიკროკრედიტის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; • ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და მიკროკრედიტ-კურსის თავისებურებებს; • ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს კურსი; • ასახავს რა წვლილი შეაქვს მსმენელის კვალიფიკაციის ამაღლებაში, კომპეტენციების გაუმჯობესებასა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში;	• მიკროკრედიტ კურსის სილაბუსი; • დასაქმების ბაზრის მოთხოვნების ან/და ვაკანსიების ანალიზი ან დამსაქმებელთა გამოკითხვა კურსის მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და კომპეტენციების საჭიროების თაობაზე; • პროგრამის მოკლე ანოტაცია ევროპის საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის N 2022/C 243/02 მიკროკრედიტების ევროპული მიდგომით განსაზღვრული სავალდებულო ან/და რეკომენდებული ველების შესაბამისად[7]

[7] European Commission. 2022. European approach to micro-credentials for lifelong learning and employability (2022/C 243/02) https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32022H0627%2802%29&qid=1759397983975

გაუმჯობესებასა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.	• შეესაბამება განმახორციელებელი დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას; ასევე, იმ საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მიკროკრედიტის აღიარება; • ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ტენდენციებსა და საჭიროებებს. •	• https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=oj:JOC_2022_243_R_0002 •
1.1 მიკროკრედიტის სწავლის შედეგები		
მიკროკრედიტის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული კურსის მიზნებთან, სწავლის სფეროს თავისებურებებთან და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც მსმენელი იძენს პროგრამის დასრულებისას.	• მიკროკრედიტის სწავლის შედეგები: • • შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; • არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; • შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის დონესა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით	• მიკროკრედიტ კურსის სილაბუსი; • კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; • კურსის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; • კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში); • კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე

	განსაზღვრულ დეტალური სფეროს აღმწერს; • ითვალისწინებს კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); • შეესაბამება სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; • პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე (საგანმანათლებლო პერსონალი, მსმენელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი; რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი უწყების წარმომადგენელი და სხვა); • პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას; • არსებობის შემთხვევაში მკაფიოდაა განსაზღვრული მიკროკრედიტის ფარგლებში განსავითარებელი პრაქტიკული, რბილი და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი სწავლის შედეგები.	სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი და დასაქმების მაჩვენებელი; • მიკროკრედიტ კურსის განმახორციელებლის ვებ- გვერდი; • მიკროკრედიტისთვის გამოყენებული LMS ან სხვა სახის ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმის ბმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში); • პროგრამის განმახორციელებლებთან (ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პერსონალი, მსმენელები კურსდამთავრებულები დამსაქმებლები) ინტერვიუს შედეგები. • არსებობის შემთხვევაში სწავლის შედეგებში გამოკვეთილი პრაქტიკული, რბილი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლის შედეგები.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი		
პროცედურები, რომლითაც იზომება, შეფასდება და დადასტურდება მიკროკრედიტ კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მკაფიოდაა განსაზღვრული და გამჭვირვალეა.	• მიკროკრედიტის სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, უმაღლესი განათლების საფეხურის გათვალისწინებითა და სფეროს სპეციფიკის შესაბამისი პერიოდულობით. • მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს (პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები), რომლებიც მსმენელების მიერ კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა; • კურსის სწავლის შედეგების შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები ან/და ეროვნულ დონეზე სფეროს მარეგულირებელი უწყებები და სხვა) ჩართულობა; • კურსის საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს;	• დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებთან დაკავშრებით; • დავალებების/გამოცდების შეფასების რუბრიკები; შეფასებისა და შესრულებული დავალებების/ნაშრომების ნიმუშები (მაგალითად: ტესტები, პროექტული ამოცანები და შესრულებული დავალებები, ნაშრომები სხვ. მაგალითები); • მიკროკრედიტ კურსის სილაბუსი • კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და არსებობის შემთხვევაში - პროფესიული ასოციაციების ან/და ეროვნულ დონეზე სფეროს მარეგულირებელი უწყებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები; • სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებული ინსტრუმენტები და მექანიზმები; • სწავლის შედეგების შეფასების შედეგების განხილვის

	• კურსის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის; • მიკროკრედიტ კურსის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება კურსის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, კურსის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის და/ან რესურსების განახლებასა და განვითარებას.	დამადასტურებელი მასალები (ანგარიშები, ოქმები და სხვა).
1.3 მიკროკრედიტის შემუშავებაში დამსაქმებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა		
მიკროკრედიტების სწავლის შედეგებისა და მათი შეფასების მიდგომების შემუშავებისას უზრუნველყოფილია შრომის ბაზრის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა და მათი მოთხოვნების ადეკვატურად ასახვა კურსის სწავლის შედეგებში.	• მიკროკრედიტ-კურსის განმახორციელებელს აქვს ფორმალური მექანიზმი შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობისთვის; განსაზღვრული და დასაბუთებულია შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან გასამართი სამუშაო შეხვედრების ან კონსულტაციების კონკრეტული რაოდენობა. • შრომის ბაზრის წარმომადგენელთაგან მიღებული აქვს წერილობითი დასტური	• დასაქმების ბაზრის წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება(ები) ან/და თანამშრომლობის მემორანდუმი(ები); • დასაქმების ბაზრის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების ოქმები ან/და ანგარიშები; • შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან გაგზავნილი და მათგან მიღებული ოფიციალური კორესპონდენციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

	მიკროკრედიტ კურსის რელევანტურობასთან დაკავშირებით.	
1.4 მიკროკრედიტის საჭიროების დასაბუთება და კავშირი დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან		
საჭიროების დიაგნოსტირება — მოკლე არგუმენტირებული დასაბუთება (ემპირიული მონაცემებით ან/და შესაბამისი მარეგულირებელი უწყებებისა და ორგანიზაციების ანგარიშებით ან/და დარგობრივი დოკუმენტებითა და სტანდარტებით), იმასთან დაკავშირებით, რომ მიკროკრედიტ-კურსში მითითებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები მოთხოვნილია ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე.	• მიკროკრედიტ-კურსის შემუშავების საჭიროება დასაბუთებულია ვაკანსიების ანალიზითა ან/და დასაქმების ბაზრის კვლევით. არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ინდუსტრიის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტებით ან/და დასაქმების ბაზრის საერთაშორისო კვლევის შედეგებით. • მიკროკრედიტის შემუშავება ასევე დასაბუთებულია შესაბამისი სფეროში დასაქმებულთა და სფეროს შესაბამისი აკადემიური პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებული კვლევით ან/და კურსდამთავრებულთა გამოკითხვით. •	• დასაქმების ბაზრის კვლევა; გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზის დოკუმენტით ან/და დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიშით, რომელშიც არსებობის შემთხვევაში ასევე ასახულია შესაბამისი ინდუსტრიის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტები და დასაქმების ბაზრის საერთაშორისო კვლევის შედეგებით. • სფეროში დასაქმებულთა და აკადემიური პროგრამების კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ან/და კვლევის შედეგები. • დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
1.5 მიკროკრედიტის სწავლის შედეგების კავშირი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან ან/და კავშირი დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან		
მკაფიოდ არის განსაზღვრული მიკროკრედიტის სწავლის შედეგების კავშირი უმაღლეს საგანმანათლებლო	• განსაზღვრულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მიკროკრედიტ კურსის მეშვეობით	• მითითებულია არანაკლებ 1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მიკროკრედიტის ფარგლებში გამომუშავებული

პროგრამასთან/პროგრამებთან და კავშირი დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან	გამომუშავებული სწავლის შედეგების აღიარება. • დასაბუთებულია როგორ შეესაბამება და რა მიმართულებით ავითარებს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს მიკროკრედიტ კურსის სწავლის შედეგები და როგორ უწყობს ხელს კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის გაზრდას დასაქმების ბაზარზე.	სწავლის შედეგების აღიარება. წარმოდგენილია ამ პროგრამის განმახორციელებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ან/და თანამშრომლობის მემორანდუმი; • წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წერილობითი დასტური მიკროკრედიტ კურსის ფარგლებში გამომუშავებული სწავლის შედეგების აღიარების თაობაზე; • მიკროკრედიტ-კურსის შედეგების მატრიცა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან და NQF-ის შესაბამისი დონის აღმწერებთან მიმართებით; • აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები. •
1.6 მიკროკრედიტის სტრუქტურა და შინაარსი		
მიკროკრედიტ კურსი შედგენილია განმახორციელებელ დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. და ითვალისწინებს	• მიკროკრედიტ კურსის სილაბუსი მოიცავს: • • კურსის მიზნებს, სწავლის შედეგებს, თემატურად დალაგებულ შინაარსს, შეფასების მეთოდებსა და	• საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი; • დეტალური სილაბუსი; მოდულის/მოდულების მასალა (საგანამანთლებლო რესურსები);

ევროპის საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის N 2022/C 243/02 მიკროკრედიტების ევროპული მიდგომით განსაზღვრული აღწერის სავალდებულო ან/და რეკომენდებული ველების შესაბამისად. კურსის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.	რელევანტურ და აქტუალურ საგანმანათლებლო რესურსებს; • ინფორმაციას პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ; • ინფორმაციას კურსის ხანგრძლივობისა და სასწავლო დატვირთვისა და შეფასების პერიოდულობის შესახებ; • ინფორმაციას აკადემიური პროგრამის/პროგრამების ფარგლებში მიკროკრედიტის მეშვეობით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების თაობაზე; • ინფორმაციას მიკროკრედიტის გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანოს შესახებ; • სასწავლო დატვირთვის, ვადების, განხორციელების ადგილის, ენისა და ფორმების შესახებ ინფორმაცია; • წარმოდგენილია მიკროკრედიტის გავლის საფასურისა და კრედიტების აღიარების შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაცია; • არსებობის შემთხვევაში მიკროკრედიტ კურსის განხორციელებისთვის LMS-სისტემის პლატფორმის გამოყენების ინსტრუქცია და შექმნილი ელექტრონული კურსის ბმული.	• არსებობის შემთხვევაში მიკროკრედიტ კურსის განხორციელებისთვის LMS-სისტემის პლატფორმის გამოყენების ინსტრუქცია და ელექტრონული კურსის ბმული • შესაბამისი მიმართულების აკადემიური პროგრამების განმახორციელებელ უსდ-სთან გაფორმებული ხელშეკრულება ან/და თანამშრომლობის მემორანდუმი. • • •

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, მიკროკრედიტ კურსის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		
2.1 მიკროკრედიტზე დაშვების წინაპირობები		
საქართველოს კანონმდებლობთ განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, მიკროკრედიტ კურსზე დაშვებისთვის განსაზღვრულია მინიმალური სავალებულო მოთხოვნები.	• მიკროკრედიტ კურსზე მიღების წინაპირობები ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებს, მიღების პირობები საჯაროა და ადვილი გასაგებია; • არსებობს მექანიზმი წინარე განათლების აღიარებისთვის; • დაშვების წინაპირობები უსაფუძვლოდ არ ზღუდავს აუდიტორიის მრავალფეროვნებას.	• საგანმანათლებლო პროგრამა; • ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები პროგრამის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფისთვის; • კურსზე დაშვების წინაპირობების აღწერა სილაბუსში; •
2.2 მიკროკრედიტის პორტაბელურობა		
მიკროკრედიტ-კურსი აღწერილია ევროპის საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის N 2022/C 243/02 მიკროკრედიტების ევროპული მიდგომით განსაზღვრული აღწერის სავალდებულო ან/და რეკომენდებული ველების შესაბამისად და შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით უზრუნველყოფილია მიღწეული სწავლის შედეგების ციფრული სერტიფიცირება და კვალიფიკაციის პორტაბელურობა; მიკროკრედიტ კურსი შემუშავებულია	• შემუშავებულია გამჭვირვალე პროცედურები და შეთანხმებები მიკროკრეკრედიტების მინიჭებისთვის; • არსებობს მიკროკრედიტ კურსების ელექტრონული და საჯარო რეესტრი; • ეროვნულ დონეზე ასევე ამღიარებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში არსებობს მიკროკრედიტ კურსის ფარგლებში მოპოვებული კრედიტებისა და გამომუშავებული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმები.	• მიკროკრედიტების აღიარების შეთანხმებები/პროტოკოლები ინსტიტუციურ დონეზე; • მიკროკრედიტის რეგისტრაციის ჩანაწერები მიკროკრედიტების ელექტრონულ რეესტრში; • მიკროკრედიტ-კურსის შედეგების მატრიცა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან და NQF-ის შესაბამისი დონის აღმწერებთან მიმართებით; • აკადემიური პროგრამის განმახორციელებელ უსდ-სთან გაფორმებული ხელშეკრულება ან/და

იმგვარად, რომ შესაძლებელია მისი კომბინირება სხვა მიკროკრედიტის ან/და აკადემიური პროგრამის ფარგლებში; უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების აღიარება.		თანამშრომლობის მემორანდუმი; წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წერილობითი დასტური მიკროკრედიტ კურსის ფარგლებში გამომუშავებული სწავლის შედეგების აღიარების თაობაზე.
2.3 მიკროკრედიტის განხორციელების ფორმა/ფორმები და ელექტრონული პლატფორმები		
უზრუნველყოფილია მიკროკრედიტების განხორციელების მოქნილი ფორმები პირისპირ ან/და ჰიბრიდულად/ან და ონლაინ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია მომხმარებელზე ორიენტირებული ინტერფეისის მქონე პლატფორმები, შესაბამისი ტექნოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერით.	• სწავლებისას გამოყენებული ფორმები უზრუნველყოფენ მიკროკრედიტ კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასა და მსმენელთა თანაბარ ხელმისაწვდომობას; • სწავლის მართვის ელექტრონული სისტემის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა.	• ელექტრონული სასწავლო მართვის სისტემის (LMS) აღწერილობა და ტექნიკური მომსახურების პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); • ელექტრონული პლატფორმის გამოყენების ინსტრუქციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); • მსმენელების უკუკავშირი პლატფორმისა ელექტრონული კურსის შესახებ. •
2.4 სწავლება-სწავლის მეთოდები		
კურსი ხორციელდება მსმენელზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურსა და სფეროს სპეციფიკას. გამოყენებული პედაგოგიური მიდგომები (პრობლემაზე	• მეთოდები არის მრავალფეროვანი, მსმენელთა აქტიური ჩართულობისკენ მიმართული და შესაბამისობაშია სასწავლო შედეგებთან; ინფორმაცია შეფასების მეთოდების შესახებ ხელმისაწვდომია ყველა მსმენელისთვის;	• ლექციის გეგმები; • აქტივობების აღწერილობები; • მსმენელთა უკუკავშირი და მონაწილეობის სტატისტიკა.

დაფუძნებული, პროექტული, აქტიური სწავლების მეთოდები და ა.შ.) შეესაბამება კურსის მიზნებს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.	• სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მსმენელთა აქტიურ ჩართულობას, პერსონალსა და მსმენელებს, ასევე მსმენელებს შორის ინტერაქციას.	
2.5 მსმენელების შეფასება		
შეფასების სისტემა ეფუძნება სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და არის შეფასების საგნის რელევანტური და კანონთან შესაბამისი. განსაზღვრულია გასაჩივრებისა და განმარტების მექანიზმები; საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია გარე გამომცდელის ჩართულობა.	• მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და შეფასების პროცედურები; • არსებობს სისტემატური ჩანაწერები შედეგებისა და საჩივართა გადაწყვეტის შესახებ. • შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია; • საჭიროების შემთხვევაში, განმახორციელებელი დაწესებულება მსმენელთა შეფასებას უზრუნველყოფს ელექტრონული/დისტანციური მეთოდის გამოყენებით კომპონენტის თავისებურების და შინაარსის გათვალისწინებით; • უზრუნველყოფილია უკუკავშირი მსმენელის მიერ მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით.	• შეფასების პოლიტიკის დოკუმენტი; • შეფასების შედეგების ჩანაწერები; • დოკუმენტები შეფასების გასაჩივრების შესახებ; გარე შემფასებლის ანგარიშები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
3. მსმენელზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება		

3.1 მსმენელთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები		
მიკროკრედიტი უზრუნველყოფს მსმენელების საკონსულტაციო, და ტექნიკურ მხარდაჭერას; საჭიროებისამებრ რესურსს დასაქმების ხელშეწყობისთვის. მსმენელს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.	• მსმენელთა მხარდამჭერი სერვისები ხელმისაწვდომია და უზრუნველყოფილია დროული რეაგირება მათ საჭიროებებზე; უზრუნველყოფილია ინფორმირება და დახმარების ხარისხის მონიტორინგი. • კურსის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული ან სხვა პერსონალი კონსულტაციებს უწევს მსმენელებს სასწავლო პროცესთან და ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით.	• მსმენელთა სერვისების სია და მათი მიწოდების წესები; • მსმენელთათვის სერვისების მიმწოდებელთა საკონტაქტო ინფორმაცია; • მსმენელების უკუკავშირი მიღებული სერვისების შესახებ; • მსმენელთა მიერ სერვისების გამოყენების სტატისტიკა.
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		
4.1 ადამიანური რესურსი		
მიკროკრედიტ-კურსის განხორციელებას უზრუნველყოფს საკმარისი ოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე საგანმანათლებლო პერსონალი რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.	• საგანმანათლებლო პერსონალის/ინსტრუქტორების კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება პასუხობს პროგრამის მოთხოვნებს; არსებობს საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების (გადამზადების) მექანიზმი; • პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის	• საგანმანათლებლო პერსონალის რეზიუმეები; და განათლებისა და ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; • საგანმანათლებლო პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები; • ინტერვიუს შედეგები.

	შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.	
• 4.2 მატერიალური რესურსი		
განმახორციელებელი დაწესებულება აღჭურვილია მიკროკრედიტ კურსის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ფიზიკური და მატერიალური რესურსებით (ლაბორატორიები, სალექციო სივრცეები; კომპიუტერული კლასები; წიგნადი და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ფონდი) და საჭირო ციფრული ინფრასტრუქტურით (სწავლის მართვის სისტემით LMS, სხვადასხვა ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმებით და ა.შ.)	• რესურსები საკმარისია საგანმანათლებლო მიზნების შესრულებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის; • მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებისას ტექნიკური და უსაფრთხოების სტანდარტები დაცულია; • რესურსები ხელმისაწვდომია მსმენელებისთვის. • • •	• მატერიალური ინვენტარის სია; • ტექნიკური დოკუმენტები და ლიცენზიები (არსებობის შემთხვევაში); • ფოტო დოკუმენტაცია; • LMS და სხვა საგანმანთლებლო პლატფორმების მომსახურების პირობები.
4.3 პროგრამის/კურსის ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა		
მიკროკრედიტ კურსის გათვალისწინებული ფინანსური რესურსები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.	• ბიუჯეტი რეალისტურია და განკუთვნილია პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისთვის; • წარმოდგენილია ფინანსური რისკების შეფასება და შემცირების სტრატეგიები.	• მიკროკრედიტ კურსის დაფინანსების წყაროები; • ბიუჯეტის დოკუმენტი; • ფინანსური ანგარიშები; • ხარჯების ჩამონათვალი;

		• თანამშრომლობის მემორანდუმები ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). • ინტერვიუს შედეგები.
5. სწავლების ხარისხის განვითარება		
5.1 შიდა ხარისხის შეფასება		
განმახორციელებელ დაწესებულებას გააჩნია მიკროკრედიტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მკაფიოდ გაწერილი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მოიცავს პროგრამის რეგულარულ მონიტორინგს, შეფასებას და გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება სწავლება-სწავლის პროცესის მონაწილე მხარეთა (მსმენელების, დამსაქმებლების, დარგობრივი ასოციაციების და ა.შ.) აქტიურ ჩართულობას და მათგან მიღებულ უკუკავშირს. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მექანიზმი, რომლითაც აკონტროლებს, მსმენელების მიერ პროგრამით	• განსაზღვრულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურა და პასუხისმგებელი პირები; • არსებობს მიკროკრედიტის რეგულარული თვითშეფასების ციკლი; • შედეგები გამოიყენება მიკროკრედიტის გაუმჯობესებისათვის; • მიკროკრედიტის შესახებ უკუკავშირის შეგროვება სისტემატურად და სტრუქტურირებულად მიმდინარეობს; • მიღებული მონაცემები რეგულარულად აისახება კურსის მოდიფიკაციებში; • არსებობს გამჭვირვალე მექანიზმი უკუკავშირის ანალიზისა და შედეგების გაზიარებისათვის. • განსაზღვრულია შედეგების შეფასების შიდა პროცედურები;	• შიდა რეგულაციები და პოლიტიკის დოკუმენტები; თვითშეფასების ანგარიშები; შეხვედრების ოქმები; ცვლილებების/გაუმჯობესების გეგმები; • მსმენელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანგარიშები; უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების მაგალითები; • შეფასების პოლიტიკა და პროცედურები; • შეფასების შედეგების ანალიზის ანგარიშები; • გაუმჯობესების გეგმა შედეგების მიხედვით; • საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პოლიტიკა; • ტრენინგების კალენდარი; მონაწილეთა სია;

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილი მოიცავს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივ განვითარებას. შიდა ხარისხის პროცესები უზრუნველყოფს მიკროკრედიტის ფინანსურ და მატერიალურ მდგრადობას. ხარისხის შიდა პროცესები უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას.	• გამოიყენება შიდა და გარე მოდერაციის მექანიზმები; • შედეგები განიხილება პროგრამის გაუმჯობესების პროცესში; • არსებობს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა; • რეგულარულად ტარდება ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები; • შეფასებულია პერსონალის კმაყოფილება და განვითარების საჭიროებები; • განსაზღვრულია პროგრამის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფის შიდა კონტროლის მექანიზმები; • რეგულარულად ხდება მიკროკრედიტების რესურსების შეფასება; • არსებობს რისკების მართვის სისტემა; • პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი; • შიდა ხარისხის ანგარიშები რეგულარულად ქვეყნდება.	• საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პერსონალის უკუკავშირი; • ფინანსური ანგარიშები; • მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების აქტები; • რისკების მართვის გეგმები; • აუდიტის შედეგები; • პროგრამის აღწერილობები ვებ-გვერდზე; • მსმენელებისა და პარტნიორების ინფორმირების მექანიზმები; • არსებობის შემთხვევაში კოლეგიალური შეფასების დასკვნა და დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები.
5.2 გარე ხარისხის შეფასება		
მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვება – მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მინიჭება ხდება განაცხადის წარმოდგენით,	• წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება მიკროკრედიტის განხორციელების უფლების	• ოფიციალური ანგარიშები; • უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომების ოქმები;

დადგენილი დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის საფუძველზე. ცენტრს აქვს უფლება განახორციელოს არაგეგმიური მონიტორინგი დაინტერესებული მხარის (მსმენელი, დამსაქმებელი, პროფესიული ასოციაცია და სხვ.) ოფიციალური მომართვის საფუძველზე, რომელიც მიუთითებს დარღვევებზე მიკროკრედიტის განმახორციელებლის მხრიდან. ცენტრი ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და გამჭვირვალობა.	მოპოვების სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; • შეფასების პროცესი სრულდება 60 სამუშაო დღეში. • უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო ვალდებულია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მინიჭების, განხორციელების უფლებაზე უარის თქმით ან მონიტორინგით განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე; • აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში აისახება პროგრამის განხორციელების ზუსტი ვადა. • მიკროკრედიტის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიკროკრედიტის განხორციელების უფლების მოპოვების პროცედურით განსაზღვრული მოთხოვნების სრული და განუხრელი დაცვა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში. • მიკროკრედიტ-კურსის მონიტორინგის პროცედურები	• ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტები; • საჩივრების განხილვის პროტოკოლები; გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმის აღწერა.

	განსაზღვრულია წინასწარ დამტკიცებულ რეგლამენტში. • მონიტორინგის პროცესი დაფუძნებულია ხარისხის სტანდარტებზე და მოიცავს ექსპერტთა ჩართულობას. • შედეგები გამოიყენება მიკროკრედიტის განხორციელების უფლების შენარჩუნების ან ვადის გახანგრძლივებისთვის. • ოფიციალური საჩივარი ან მიმართვა განმახორციელებლი დაწესებულების დარღვევის კონკრეტული აღწერით შესაძლებელია გახდეს მიკროკრედიტ-კურსის არაგეგმიური მონიტორინგის საფუძველი; • ცენტრი უზრუნველყოფს არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარებას 30 კალენდარული დღის ვადაში და შედეგების საჯაროობას. • გადაწყვეტილებები ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე პროგრამების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები აისახება მიკროკრედიტების ელექტრონულ რეესტრში. • დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია მონიტორინგის შედეგებზე.	

	• განსაზღვრულია საჩივრების განხილვისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა.	

იმდენად, რამდენადაც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში ჩართვისთვის კვალიფიკაცია უნდა აკმაყოფილებდეს ორ ძირითად მოთხოვნას:

ა) კვალიფიკაციის შინაარსი მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი სწავლის შედეგებით, რაც უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამჭვირვალობასა და შეფასებას.

ბ) კვალიფიკაციამ წარმატებით უნდა გაიაროს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.

ვინაიდან მიკროკრედიტების დეფინიცია და ფორმატი ითვალისწინებს ორივე ზემოხსენებულ მოთხოვნას – კერძოდ, ისინი ეფუძნება სწავლის შედეგებს და ექვემდებარება გარე QA მექანიზმებს – შესაბამისი შინაარსობრივი და სამართლებრივი საფუძვლები იქმნება მათი ინტეგრაციისთვის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში. ეს ინტეგრაცია აუცილებელია მათი აღიარებისა და პორტაბელურობის უზრუნველსაყოფად.

XIV. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის აღმწერებთან მიკროკრედიტის სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრა

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის მიკროკრედიტების წარმატებით გავლის შედეგად კურსდამთავრებულებს ენიჭებათ მიკროკრედიტ-კურსის გავლის დამადასტურებელი მეექვსე/მეშვიდე დონის სერტიფიკატი.

კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეების აღმწერებთან შესაბამისობის დადგენის საკითხი დღეისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საერთაშორისო დონეზე საერთო მიდგომა და შეჯერებული მეთოდოლოგია ამ ეტაპზე არ არსებობს. თუმცა, ქვეყნების გამოცდილება და საერთაშორისო დისკუსიებში გამოკვეთილი მიდგომები მიანიშნებს რამდენიმე ძირითად პრინციპზე, რომელთა გათვალისწინებითაც მიზანშეწონილია მიკროკრედიტის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მიდგომა. მიკროკრედიტის მოცულობისა თუ ხანგრძლივობის მიუხედავად, მისი შეფასება ეფუძნება არა საკონტაქტო საათების რაოდენობას, არამედ აღწერილი სწავლის შედეგების შინაარსსა და სიღრმეს. სწორედ ამ შედეგების შედარებით ხდება კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეების აღმწერებთან თანხვედრის დადგენა.

ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „საუკეთესო შესაბამისობის“ პრინციპს. პრაქტიკაში მიკროკრედიტის შედეგები შესაძლოა მოიცავდეს ეროვნული კვალიფიკაციების ქვედა (მაგრამ არა უფრო მაღალი) დონის მახასიათებლებს, თუმცა შესაბამისობა განისაზღვრება დომინანტური შედეგების მიხედვით, ანუ იქ, სადაც სწავლის შედეგების უმეტესობა და მათი სირთულე ყველაზე მეტად ემთხვევა ჩარჩოს კონკრეტული დონის აღმწერებს.

მიუხედავად იმისა, რომ მიკროკრედიტი მცირე მოცულობისაა და, შესაბამისად, ჩვეულებრივ სრულფასოვანი კვალიფიკაციის მსგავსად შესაძლებელია არ მოიცავდეს ჩარჩოს დონის აღმწერების სრულ სპექტრს, თუმცა აუცილებლად უნდა მოიცავდეს სამივე აღმწერის (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) კომპონენტებს. მისი შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია ეროვნული კვალიფიკაციების ჩაერჩოს შესაბამისი დონის აღმწერებთან და ამავე დონიეზეკონკრეტული სწავლის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

გამჭვირვალობა და არგუმენტირებული დასაბუთება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. აუცილებელია, რომ მიკროკრედიტის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან შესაბამისობის ყველა გადაწყვეტილება იყოს არგუმენტირებულად აღწერილი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სანდოობა და ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარება.

XV. მიკროკრედიტის კურსის შემუშავება

გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო QAA გვთავაზობს ნაბიჯებს მიკროკრედიტების შემუშავებისთვის[8], რომლის საფუძველზეც შევიმუშავეთ მოდიფიცირებული ვერსია, რომელიც საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთანაა ადაპტირებული.

მიკროკრედიტის შემუშავების ეტაპები:

ნაბიჯი 1:

[8] Quality Assurance Agency for Higher Education (QAA) Guide to Micro-credential Design: Modular learning by design and not default https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/members/guide-to-micro-credential-design.pdf?sfvrsn=699aac81_12

- მიკროკრედიტის ხედვისა და მნიშვნელობის ჩამოყალიბება;
- დასაქმების ბაზრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით მიკროკრედიტის მიზნის განსაზღვრა;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობით მიკროკრედიტის სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება;
- იმ დამსაქმებლების ან პროფესიული და/ან მარეგულირებელი უწყებების განსაზღვრა რომლებიც აღიარებენ მიკროკრედიტს.

ნაბიჯი 2:

- მიკროკრედიტის დონის განსაზღვრა (ეროვნული და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეების შესაბამისად);
- მიკროკრედიტების მოცულობის განსაზღვრა ECTS კრედიტებში (სავარაუდოდ, 1-დან 30 კრედიტამდე);
- მიკროკრედიტების განხორციელების ფორმის განსაზღვრა (პირისპირ ან/და ონლაინ ან/და ჰიბრიდულად).

ნაბიჯი 3:

- სწავლის შედეგების ჩამოყალიბება დამსაქმებლებთან თანამშრომლობით;
- სწავლის შედეგებში უნარის კომპონენტის მკაფიოდ გამოკვეთა.

ნაბიჯი 4:

- სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის შემუშავება (დამსაქმებლებთან თანამშრომლობით დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით).
- სწავლის შედეგების შეფასებისა და უკუკავშირის სტრატეგიის შემუშავება დამსაქმებლების ჩართულობით (სადაც შესაძლებელია, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს სამუშაოზე დაფუძნებული შეფასება).

ნაბიჯი 5:

- კურსის შინაარსის შემუშავება დამსაქმებლებთან თანამშრომლობით
- რეფლექსიისა და უკუკავშირის შესაძლებლობების შექმნა.

ნაბიჯი 6:

- ფორმაციული და საბოლოო შეფასების აქტივობების შემუშავება დამსაქმებლებთან თანამშრომლობით.

ნაბიჯი 7:

- სილაბუსის სამუშაო ვერსიის შემუშავება.

ნაბიჯი 8:

- საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ნაბიჯი 9:

- პროფესიული, ნორმატიული და მარეგულირებელი ორგანოების მიერ დამტკიცებისა და აღიარების უზრუნველყოფა.

ქვემოთ წარმოდგენილია მიკროკრედიტის სილაბუსის ნიმუში მიკროკრედიტების ევროპული მიდგომის შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაციისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების (გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, იტალია, ავსტრალია, ახალი ზელანდია) გათვალისწინებით:

მიკროკრედიტის სილაბუსის ნიმუში	
მიკროკრედიტ კურსის დასახელება ქართულად და ინგლისურად	ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უმაღლეს განათლებაში კვლევითი უნარების განვითარებისთვის (AI for Enhancing Research Skills in Higher Education)
გამცემი ორგანოს ქვეყანა(ები)/რეგიონ(ები)	საქართველო, თბილისი
გამცემი ორგანო(ები)	დაწესებულება/დაწესებულებები
გაცემის თარიღი	20.10.2025
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** • **აღწერს** ხელოვნური ინტელექტის (AI) ძირითად ინსტრუმენტებს (მაგ., ChatGPT, Grok, Google Scholar

AI) და მათ როლს უმაღლეს განათლებაში კვლევითი პროცესების გაუმჯობესებაში.

- განმარტავს AI-ის ეთიკურ გამოწვევებს, როგორიცაა მონაცემთა კონფიდენციალურობა და პლაგიატი, უმაღლესი განათლების კონტექსტში.
- **აჯამებს** AI-ის გამოყენების უპირატესობებსა და შეზღუდვებს კვლევითი უნარების განვითარებაში, მათ შორის მონაცემთა ანალიზსა და ლიტერატურის მოძიებაში.
- **განსაზღვრავს** ძირითად ტერმინებსა და კონცეფციებს, როგორიცაა მანქანური სწავლა და ნატურალური ენის დამუშავება, რომლებიც გამოიყენება კვლევით პროექტებში.

2. უნარი

- **იყენებს** AI ინსტრუმენტებს (მაგ., Semantic Scholar, Connected Papers, Research Rabbit, Google Dataset Search და ასხვ.) ლიტერატურის მოძიებისა და მონაცემთა ვიზუალიზაციისთვის უმაღლესი განათლების კვლევით პროექტებში;
- **AI ინსტრუმენტების გამოყენების შესწავლითა და კვლევით ივითარებს ციფრული წიგნიერების უნარებს;**
- კრიტიკულად აანალიზებს AI-ის გამოყენების მნიშვნელობას კველევებისა და საგანმანთლებლო ინოვაციების შემუშავებაში;
- **აანალიზებს** AI-ის მიერ გენერირებულ შედეგებს კვლევითი მონაცემების სიზუსტის შესაფასებლად.
- **ქმნის** AI-ზე დაფუძნებულ კვლევით გეგმას უმაღლესი განათლების კვლევითი პროექტისთვის, აინტეგრირებს ეთიკური და აკადემიური კეთილსინდისისრების პრინციპებს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **მართავს** საკუთარ კვლევით პროცესს AI-ის გამოყენებით, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ეთიკურ საკითხებზე უმაღლეს განათლებაში.
- **მსჯელობს** AI-ის გამოყენების რისკების და სარგებლის შესახებ, უზრუნველყოფს პასუხისმგებლიან გამოყენებას კვლევითი უნარების განვითარებაში.

	• **ქმნის** ეთიკურ ჩარჩოს AI-ის გამოყენებისთვის კვლევაში, იღებს პასუხისმგებლობას შედეგების სანდოობაზე და ავტონომიურად მოქმედებს გუნდურ გარემოში.
სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო დატვირთვა	• 7 ECTS კრედიტი 1 ECTS (25 საათი); • საკონტაქტო: 50 საათი (სინქრონული ონლაინ ვებინარები); • ელექტრონულ აქტივობებში სინქრონული მონაწილეობა: 15 საათი (დისკუსია ფორუმებზე; AI პლატფორმების გამოყენებით სავარჯიშოების შშესრულება); • ასინქრონული შინაარსი და კითხვა: 100 საათი (ვიდეოები, წაკითხული მასალები AI ეთიკასა და კვლევით ინსტრუმენტებზე; • კვლევითი პროექტის შემუშავების თაობაზე კონსულტაცია - 6 საათი; • შეფასება: 4 საათი (პროექტის პრეზენტაცია და რეფლექსია).
მიკროკრედიტი სწავლის გამოცდილების დონე (და ციკლი, თუ შესაბამისია) (ეროვნული და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეების მითითებით, თუ შესაძლებელია: **EQF, QF-EHEA;**	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონე; EQF - მე-7 დონე; QF- EHEA - მე-2 ციკლი.
შეფასების ტიპი	• **ფორმაციული:** წერილობითი ანგარიშები; ქვიზები; რეფლექსია; დისკუსიებში მონაწილეობა; • **დასკვნითი:** კვლევითი პროექტი; პროექტის პრეზენტაცია; წერითი გამოცდა.
სწავლის აქტივობაში მონაწილეობის ფორმა	სრულიად ონლაინ (ასინქრონული + სინქრონული), LMS პლატფორმა Moodle- ს გამოყენებით.
ხარისხის უზრუნველყოფის ტიპი, რომელიც გამოყენებულია მიკროკრედიტის საფუძვლად	შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები იხ. <u>**დაწესებულების**</u> შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება; გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი განხორციელების უფლების მიმნიჭებელი ორგანო: სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მიკროკრედიტზე დაშვების/ ჩარიცხვის წინაპირობები	სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი; ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი; მსმენელის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი საბაზისო სავალდებულო კურსების დაძლევა.
კომბინირების/დაგროვების შესაძლებლობები (stackability)	მიკროკრედიტის კომბინირება შესაძლებელია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების მიკროკრედიტთან და აკადემიური მუშაობის მიკროკრედიტთან. ამ კურსების კომბინაციით შესაძლებელია შესაბამისი უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების, განათლების მენეჯმენტისა და განათლების პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის აღიარება არაუმეტეს 25 ECTS -ის მოცულობით.
აღიარების შესაძლებლობები	ხელშეკრულების საფუძველზე, აღიარდება შესაბამისი უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების, განათლების მენეჯმენტისა და განათლების პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ასევე ა(ა)იპ უმაღლესი განათლების კვლევების ასოციაციის მიერ.
განხორციელების ენა	ქართული (შენიშვნა: საკითხავი მასალების ნაწილი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე)
საკონტაქტო პირის/პირების შესახებ ინფორმაცია და დაკავებული პოზიცია	სახელ(ებ)ი, გვარ(ებ)ი, თანამდებობა
საკონტაქტო პირის/პირების ელ. ფოტის მისამართი (მისამართები)	ელ.ფოსტის მისამართი
მიზნობრივი აუდიტორია	განათლების კვლევებით დაინტერესებული სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამების მსმენელები; განათლების მიმართულებით კვლევების განმახორციელებელი ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები; დარგობრივი სამინისტროებისა და სამინისტროების ქვეუწყებების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ აკადემიური განათლებისა და კვლევების მიმართულებით.

მიკროკრედიტ კურსის საჭიროების დასაბუთება	• ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე დაფუძნებული მიკროკრედიტის შემუშავება უკავშირდება თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ რიგ გამოწვევებს, რომლებიც თვალსაჩინოდ აისახება როგორც კურსდამთავრებულთა, ისე მოქმედი პროფესიონალების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ხარისხზე. • პირველ რიგში, კვლევითი უნარების ნაკლებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ხშირად, მსმენელები და დასაქმებულები არ ფლობენ თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების საკმარის ცოდნას, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობებს მონაცემთა დამუშავებისა და ანალიტიკური საქმიანობის პროცესში. აღნიშნული მიკროკრედიტი სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრას ემსახურება, რადგან ის უზრუნველყოფს ხელოვნური ინტელექტის ისეთი პლატფორმების პრაქტიკულ გამოყენებას, როგორიცაა Semantic Scholar, Research Rabbit, Google Dataset Search და სხვ. • მეორე მხრივ, ეთიკური და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები – როგორიცაა პლაგიატი, მონაცემთა კონფიდენციალურობა და სანდოობის კრიტიკული შეფასება – ხშირად რჩება არასათანადოდ გააზრებული. აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს მონაწილეთა ცნობიერების ამაღლებას ამ მიმართულებით და უზრუნველყოფს, რომ მათ არა მხოლოდ ტექნიკურად გამოიყენონ AI ინსტრუმენტები, არამედ გააცნობიერონ აღნიშნული ინსტრუმენტების პასუხისმგებლობით გამოყენების პრინციპები. • მესამე, ციფრული წიგნიერების არასახარბიელო დონე მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს როგორც კვლევით, ისე პროფესიულ საქმიანობაში. აღნიშნული მიკროკრედიტ კურსი ხელს უწყობს ციფრული წიგნიერების უნარების სისტემურ განვითარებას, რაც საშუალებას აძლევს მონაწილეებს შეიძინონ უნივერსალური, ტრანსფერული უნარები და გაზარდონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე.

	ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრასაც მიკროკრედიტი ემსახურება: • კვალიფიკაციის დეფიციტის აღმოფხვრას კვლევით კომპონენტში – მსმენელებს არ აქვთ საკმარისი და სტრუქტურირებული ცოდნა თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიების შესახებ. • ინოვაციური მიდგომების წახალისებას–უმაღლესი განათლებისა და კვლევების სფეროში ჯერ კიდევ დომინირებს ტრადიციული მეთოდოლოგია, მაშინ როდესაც ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საშუალებას იძლევა უფრო სწრაფად, ეფექტიანად და ფართო მასშტაბით მოხდეს მონაცემთა ანალიზი. • საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის გაუმჯობესებას – თანამედროვე კვლევითი უნარების დაუფლება აუცილებელია გლობალურ აკადემიურ სივრცეში ჩართულობისთვის, სადაც AI უკვე ინტეგრირებული პრაქტიკაა. ზემოაღნიშნულის შესაბამისად კვლევითი კომპეტენციების განვითარებისთვის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე ორიენტირებული მიკროკრედიტის შემუშავება არამხოლოდ პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევებს, არამედ უზრუნველყოფს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ისეთ განვითარებას, რომელიც სრულად შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს, აღნიშნულს მოწმობს ის ფაქტიც რომ კურსი ხორციელდება ა(ა)იპ უმაღლესი განათლების კვლევების ასოციაციის დაკვეთით. კურსი ქმნის მდგრად საფუძველს როგორც ინდივიდუალური აკადემიური და პროფესიული ზრდისთვის, ისე განათლების სისტემის ხარისხიანი ტრანსფორმაციისთვის.
მიკროკრედიტ კურსის სამიზნე აუდიტორიის შერჩევის დასაბუთება	მიკროკრედიტის სილაბუსში ზემოაღნიშნული მიზნობრივი აუდიტორიის განსაზღვრა მიზანშეწონილია რამდენიმე მიზეზის გამო. ეს კონტიგენტი უზრუნველყოფს მიკროკრედიტის რელევანტურობას, მაღალ ჩართულობას, პრაქტიკულ გამოყენებას და შესაძლოა გაზარდოს მისი დაგროვებადობა და კომბინირებადობა უფრო ფართო კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის.

რამდენადაც მიკროკრედიტ კურსი ფოკუსირებულია ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებაზე უმაღლეს განათლებაში კვლევითი უნარების განვითარებისთვის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეზე.

1. განათლების კვლევებით დაინტერესებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელები მიზანშეწონილობა: ეს ჯგუფი წარმოადგენს მიკროკრედიტის შინაარსის პირდაპირ მომხმარებელს, რადგან განათლების სფეროს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელები უმაღლეს განათლებაში ხშირად ახორციელებენ კვლევით პროექტებს, სადაც AI-ის ინტეგრაცია (მაგ., მონაცემთა ანალიზი, ლიტერატურის მოძიება) გადამწყვეტია. მიზნობრივი აუდიტორიის განსაზღვრა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების პროპორციულობას რაც აქ ნიშნავს, რომ მიკროკრედიტი შეიძლება გამოყენებულ იქნას მაგისტრატურის კურსებში როგორც მოდულური კომპონენტი. ეს ზრდის მონაწილეობის მაჩვენებელს, რადგან მსმენელები სწავლობენ ტრანსფერულ უნარებს (მაგ., ციფრული წიგნიერება, კრიტიკული ანალიზი), რომლებიც პირდაპირ უწყობს მათ ხელს კვლევითი პროექტების შემუშავებაში.

2. განათლების მიმართულებით კვლევების განმახორციელებელი ასოციაციების წარმომადგენლები - მიზანშეწონილობა: ეს პროფესიონალური ჯგუფი (მაგ., აკადემიური ასოციაციების მკვლევრები) რეგულარულად ახორციელებენ კვლევებს განათლების რეფორმებზე, სადაც AI-ის გამოყენება (მაგ., ეთიკური გამოწვევები, მონაცემთა ვიზუალიზაცია) აქტუალურია. მიზნობრივი აუდიტორიის შერჩევა უნდა განხორციელდეს ინდუსტრიის თანამშრომლობით, რაც ამ შემთხვევაში ხორციელდება ასოციაციების ჩართვით. აღნიშნული უზრუნველყოფს შინაარსის რელევანტურობას და პრაქტიკულ გამოყენებას. ეს ჯგუფი მოტივირებულია მიკროკრედიტის სწავლის შედეგების გამომუშავებით (მაგ., AI-ზე დაფუძნებული კვლევითი გეგმა), რადგან ისინი შეძლებენ გამომუშავებული ცოდნისა და უნარების გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც ზრდის მიკროკრედიტის გავლენას საგანმანათლებლო პოლიტიკაზე.

3. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები - მიზანშეწონილობა: NGO-ების თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ განათლების პროგრამებზე (მაგ., კვლევითი პროექტები, რეფორმები), და ხშირად ანაცვლებენ კვლევისა და ანალიზის ტრადიციულ მეთოდებს AI -ს მეშვეობით, სჭირდებათ უნარები ხელოვნური ინტელექტის ეთიკური და პრაქტიკული გამოწვევებზე საპასუხოდ. არასამთავრობო სექტორის ჩართვა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი შეძლებენ მიკროკრედიტის შედეგების (მაგ., რეფლექსია და უკუკავშირი) გამოყენებას საზოგადოებრივ პროექტებში, რაც ზრდის მის სოციალურ გავლენას და კომბინირების შესაძლებლობებს უფრო ფართო კვალიფიკაციის მიზნებისთვის.

4. დარგობრივი სამინისტროები და სამინისტროების ქვე უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ აკადემიური განათლებისა და კვლევების მიმართულებით - მიზანშეწონილობა: ამ ტიპის ორგანოები პასუხისმგებელნი არიან განათლების პოლიტიკის შემუშავებაზე შესაბამის სფეროში, რაც საჭიროებს აკადემიური და კვლევითი უნარების განვითარებას. მათი ჩართვა მიზანშეწონილია, რადგან მიკროკრედიტის განხორციელება ამ მიმართულებით ემსახურება სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და კვლევითი კომპეტენციების გაუმჯობესებას. საგულისხმოა, რომ ამღიარებელ ორგანოებად სახელმწიფო ორგანიზაციებისა და უწყებების განსაზღვრა აძლიერებს მიკროკრედიტის ლეგიტიმაციას და მის საერთაშორისო სივრცეში აღიარების შესაძლებლობებს. ეს ჯგუფი მოტივირებულია, რადგან შეძლებს მის გამოყენებას პოლიტიკის შეფასებაში, რაც ზრდის მიკროკრედიტის გავლენას ეროვნულ დონეზე და ხელს უწყობს წინარე განათლების აღიარების პროცედურების განვითარებას.

XVI. მიკროკრედიტების აღიარება

უწყვეტი განათლებისა და დასაქმების თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, მიკროკრედიტების აღიარება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ამ კონტექსტში სწავლებისა და სწავლის მოქნილობა, გამჭვირვალობა და ხარისხი გადამწყვეტ როლს თამაშობს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და პლატფორმის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელოების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას, ჩამოვაყალიბოთ ზოგადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად შეიძლება დაედოს მიკროკრედიტების აღიარების პოლიტიკას.

ევროკავშირის მიერ მიკროსერტიფიკატის განსაზღვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია „პორტაბელურობა“, რაც გულისხმობს, რომ სერტიფიკატის მფლობელს უნდა შეეძლოს მისი შენახვა მისთვის სასურველ პლატფორმაზე და კონკრეტულ მხარესთან გაზიარება, რომელსაც უნდა შეეძლოს სერტიფიკატის შინაარსის გაგება და მისი ავთენტურობის დადასტურება (ევროპის საბჭო, 2022)[9].

პირველ რიგში, მიკროკრედიტების ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მკაფიოდ არის გაწერილი სწავლების შედეგები. ისინი უნდა ასახავდნენ მიღებულ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა დამადასტურებლადაც გამოიყენება სამართლიანი და სანდო შეფასების პროცედურები. სწავლის შედეგების მკაფიო ფორმულირება უზრუნველყოფს მიკროკრედიტის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან შესაბამისობის დადგენას, და მის შესადარისობას სხვა პროგრამებთან.

პრინციპულად მნიშვნელოვანია მიკროკრედიტის შესახებ ინფორმაციაზე სრულფასოვანი ხელმისაწვდომობა. მიკროკრედიტს თან უნდა ახლდეს ძირითადი ელემენტები — სწავლების შედეგები, სამუშაო დატვირთვა, ეროვნული და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე, შეფასების ფორმა, გაცემის თარიღი, მიკროკრედიტის გამცემი ინსტიტუცია და სხვა. ეს ქმნის საფუძველს მიკროკრედიტის შინაარსისა და კონტექსტის გაგებისა და მისი აღიარებისთვის როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

აღიარების პროცესში გადამწყვეტია ხარისხის უზრუნველყოფა. როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმები უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ მიკროკრედიტების სანდოობა და ლეგიტიმურობა უზრუნველყოფილი იყოს. ამავდროულად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები უნდა იყოს პროპორციული და მოქნილი, რათა არ გადაიქცეს ზედმეტ ბიუროკრატიულ ტვირთად. აღიარების მექანიზმების შემუშავებისთვის აუცილებელი წინაპირობაა სისტემური შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი შიდა და გარე

[9] ევროპის საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის N 2022/C 243/02 რეკომენდაცია მიკროკრედიტების ევროპული მიდგომა https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=oj:JOC_2022_243_R_0002

მექანიზმების შექმნა და დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ, მიკროკრედიტების სანდოობასა და ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

საგულისხმოა, რომ მიკროკრედიტის ფარგლებში მოპოვებული კვალიფიკაცია შესაძლებელია დადასტურდეს ციფრული სერტიფიკატით ან სამკერდე ნიშნით (ბეჯი).

16.1 მიკროკრედიტების სერტიფიკატებსა და სამკერდე ნიშნებს (badges) შორის ურთიერთმიმართება

ზოგადად, მიკროკრედიტების სერტიფიკატები წარმოადგენს მოკლევადიანი ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატებს, რომლებიც ასახავენ, თუ რამდენად აითვისა ინდივიდმა კონკრეტული ცოდნა, უნარები ან კომპეტენციები. სამკერდე ნიშანი (ბეჯი) შეიძლება იყოს ან უკვე მიღებული სერთიფიკატის ციფრული გამოხატულება (მაგ., ბეჯი შეიძლება გაიცეს ონლაინ სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მიღებული სერტიფიკატისთვის), ან ციფრული სერტიფიკატის დედანი, რომელიც აღიარებს უნარებს, მიღწევებს ან სწავლის შედეგებს. ორივე ტიპის ბეჯს უნდა ჰქონდეს გამოსახულება (ე.ი. სერტიფიკატის ვიზუალური გამოხატულება) და მეტამონაცემები, რომლებიც უნიკალურად არის დაკავშირებული ინდივიდის უნარებთან. ციფრულ სამკერდე ნიშნის მეტამონაცემები ასევე მოიცავს ინფორმაციას მიმნიჭებელი ინსტიტუციის, მფლობელისა (სწავლის მონაწილე) და გამსაჯაროებელის (პლატფორმა, სადაც სამკერდე ნიშანი ინახება) შესახებ. მხოლოდ ის ბეჯი, რომელიც წარმოადგენს სერტიფიკატის დედანს, შეიძლება ჩაითვალოს მიკროკრედიტად, ხოლო სხვა ტიპის სამკერდე ნიშანი შეიძლება იყოს უკვე მიღებული სერტიფიკატის ციფრული გამოსახულება, რომელიც მხოლოდ ვიზუალურად გამოსახავს სერტიფიკატის დედანს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია მიკროკრედიტების პორტაბელურობა და ინტერსისტემური თავსებადობა. მათი გამოყენება უნდა შეიძლებოდეს სხვადასხვა სისტემაში, სხვადასხვა ინსტიტუციასა და ქვეყნებს შორის, მათ შორის ციფრული ფორმატებით. ეს ზრდის მიკროკრედიტების ხილვადობას, და მათ შესახებ ინფორმაციის დაცულობას, ასევე ამაღლებს მის ღირებულებას როგორც დამსაქმებლებისთვის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

აღიარების პროცესში მნიშვნელოვანია საუკეთესო შესაბამისობის პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ მიკროკრედიტის სწავლების შედეგები უნდა შეედაროს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს ეროვნულ ან საერთაშორისო კვალიფიკაციების ჩარჩოებში და შესაბამისობა დადგენილ

იქნეს ყველაზე მიახლოებულ ანალოგთან, საჭიროების შემთხვევაში მოქნილი ინტერპრეტაციით.[10]

მიკროკრედიტები

მოკლევადიანი სერტიფიკატები, რომლებიც ასახავენ, აითვისა თუ არა ინდივიდმა კონკრეტული ცოდნა, უნარები ან კომპეტენციები.

ბეჯები

შეიძლება იყოს ან უკვე მიღებული სერტიფიკატის ციფრული გამოხატულება, ან ციფრული სერტიფიკატის დედანი, რომელიც აღიარებს უნარებს, მიღწევებს ან სწავლის შედეგებს.

მიკროკრედიტები ასევე უნდა ინტეგრირდეს ფართო საგანმანათლებლო და კვალიფიკაციების სისტემებში. ისინი არ უნდა არსებობდეს იზოლირებულად, არამედ შესაძლებელი უნდა იყოს მათი დაგროვება, ტრანსფერი და დაგროვება და სხვა, ფართო კვალიფიკაციად გარდაქმნისთვის. ეს ზრდის მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას როგორც განათლების, ისე შრომის ბაზრის კონტექსტში.

გარდა ამისა, მიკროკრედიტის სანდოობა დამოკიდებულია დამოწმებისა და ვალიდაციის შესაძლებლობაზე. დამსაქმებელს ან სხვა დაწესებულებას უნდა შეეძლოს მისი ნამდვილობის გადამოწმება, იქნება ეს მატერიალური მტკიცებულების (დოკუმენტის) სახით თუ ციფრული ფორმატით.

საბოლოოდ, მიკროკრედიტების აღიარების სისტემა უნდა იყოს ინოვაციური, მოქნილი და განვითარებაზე ორიენტირებული. რადგან მიკროკრედიტები თვითონვე წარმოადგენს

[10]The University of Texas System. 2023. Integrating Microcredentials into Undergraduate Experiences. https://www.utsystem.edu/sites/default/files/sites/microcredentials/integrating-microcredentials-web.pdf

სწავლების ახალ ფორმას, აღიარების ჩარჩო უნდა იყოს მზად ახალი მიდგომების, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკების ინტეგრაციისთვის.

ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, მიკროკრედიტების აღიარება შეიძლება გახდეს თანმიმდევრული, გამჭვირვალე და ეფექტიანი პროცესი, რომელიც ერთდროულად პასუხობს როგორც განათლების სისტემის, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მთავარი მითითება იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც მიკროკრედიტის შესახებ, განსაკუთრებით კი მისი აღიარების მიზნებისთვის უნდა იყოს წარმოდგენილი მოიცავს ევროპის საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის N 2022/C 243/02 რეკომენდაციას მიკროკრედიტების შესახებ, რომელიც ჩამოთვლის შემდეგ სავალდებულო სტანდარტულ ელემენტებს:

- მსწავლებლის/მსმენელის იდენტიფიცირება;
- მიკროკრედიტის დასახელება;
- განმახორციელებელი ორგანოს/ორგანოების დასახელება;
- ქვეყანა(ქვეყნები)/რეგიონი(რეგიონები);
- მიკროკრედიტის მიმნიჭებელი ორგანო(ები);
- მიკროკრედიტის მინიჭების თარიღი;
- სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სავარაუდო სამუშაო დატვირთვა (ECTS კრედიტებში, სადაც ეს შესაძლებელია);
- მიკროკრედიტების დონე (და ციკლი, თუ შესაბამისია) (EQF, QF-EHEA), თუ ეს შესაბამისია;
- შეფასების ტიპი;
- სწავლის პროცესში მონაწილეობის ფორმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის ტიპი, რომელიც გამოიყენება მიკროკრედიტის მხარდაჭერისთვის.

იტალიის აკადემიური მობილობისა და ეკვივალენტობის ინფორმაციის ცენტრი CIMEA თავის სახელმძღვანელოში „მიკრო-კრედიტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის - „ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში კოლეგების (Peer) მხარდაჭერაზე დაფუძნებული მიდგომები“[11] მიუთითებს, რომ არსებობს არასავალდებულო ელემენტების ჩამონათვალი, როგორიცაა მიკროკრედიტზე დაშვებისთვის საჭირო და ინტეგრაციის/დაგროვების შესაძლებლობები (ე.ი. არის თუ არა მიკროკრედიტი დამოუკიდებელი, არის თუ არა ის უფრო დიდი პროგრამის ნაწილი, შეიძლება თუ არა მისი აკუმულირება სხვა მიკროკრედიტებთან ერთად). მიუხედავად იმისა, რომ ეს პუნქტები

[11] Micro-Credentials for higher education institutions approaches developed in the EHEA using peer support.2024. https://www.cimea.it/Upload/Documenti/Micro-credentials%20in%20HE_1.pdf

სავალდებულოდ არ მიიჩნევა, მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ რამდენად და რა ფარგლებში შეიძლება მიკროკრედიტის აღიარება იმავე ინსტიტუტის ან სხვა ინსტიტუტის/პროვაიდერის მიერ შეთანხმების/პარტნიორობის ფარგლებში, რამდენი კრედიტის აღიარებაა შესაძლებელი და რომელ საგანმანათლებლო პროგრამაში. ეს ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს თავად სერტიფიკატზე, მიკროკრედიტთან დართულ დამატებით დოკუმენტაციაში ან გამცემი ინსტიტუციის ვებ-გვერდზე.

მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმატით იქნება მიწოდებული ინფორმაცია, ის უნდა იყოს გამჭვირვალე, სანდო, მარტივად ხელმისაწვდომი სწავლის მონაწილეებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის, ასევე ითვალისწინებდეს ისტორიულ პერსპექტივას (ვინაიდან შეიძლება მნიშვნელოვანი დრო გავიდეს კვალიფიკაციის მიღებასა და მის აღიარებას შორის). მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ონლაინ პორტალებსა და სხვა საინფორმაციო სისტემებში მიკროკრედიტებისთვის საერთო აღწერების არსებობა გადამწყვეტია, რათა მსმენელებმა/მონაწილეებმა შეძლონ პროგრამების სტრუქტურირებული შედარება, ასევე ხელი შეუწყონ აკადემიურ და განათლების პროვაიდერებს შორის აღიარების პროცესს [12] (OECD, 2023).

თუ ყველა სტანდარტული ელემენტი სათანადოდ არის წარმოდგენილი, მიკროკრედიტების შეფასება შესაძლებელია ლისაბონის აღიარების კონვენციის (LRC) პრინციპების შესაბამისად, ესაა საერთაშორისო კონვენცია, რომელიც არეგულირებს კვალიფიკაციების აღიარებას ევროპის რეგიონში (ევროპის საბჭო და UNESCO, 1997).

თუ ეს ელემენტები მიკროკრედიტში გამჭვირვალედ არ არის აღრიცხული, აღიარება მაინც შესაძლებელია წინარე სწავლის აღიარების (RPL) პროცედურის გამოყენებით, ანუ სწავლის შედეგების ვალიდაციის მეშვეობით, იქნება ეს ფორმალური განათლება თუ არაფორმალური[13] სწავლა, რომელიც მიღებულია ვალიდაციის მოთხოვნამდე (ECTS-ის მომხმარებლის სახელმძღვანელო, 2015).

ინფორმაციის გამჭვირვალობისა და სისრულის გაგების, და შესაბამისად, გამოსაყენებელი მიდგომის უზრუნველსაყოფად, ნიდერლანდების საერთაშორისო განათლებისა და აკადემიური აღიარების ეროვნული სააგენტოს (NUFFIC) კოორდინირებით განხორციელდა პროექტი „E-valuate", რომელიც მიზნად ისახავდა ონლაინ მიღებული განათლების აკადემიური აღიარების გაუმჯობესებას, ონლაინ სწავლის (მაგალითად, MOOCs და SPOCs) მიღწევებისა და სერტიფიკატების აღიარების პრაქტიკის განვითარებას, რათა უმაღლეს

[12] OECD (2023). Public policies for effective micro-credential learning, OECD Education Policy Perspectives. No. 85, OECD Publishing, Paris. https://doi.org/10.1787/a41f148b-en.

[13] ეროვნულ დონეზე „Nonformal“ და „Informal“ ტერმინების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „არაფორმალური”.

საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეღოთ მათი სამართლიანად და თანმიმდევრულად შეფასების შესაძლებლობა. პროექტის ფარგლებში შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგია[14], რომელმაც გამოკვეთა შვიდი კრიტერიუმი ინფორმაციის სისრულის შესამოწმებლად, ესენია:

1. კურსის ხარისხი;
2. სერტიფიკატის ვერიფიკაცია;
3. კურსის დონე;
4. სწავლის შედეგები;
5. სამუშაო დატვირთვა;
6. სწავლის შედეგების შეფასების გზები;
   მასწავლებლის/მსმენელის იდენტიფიკაცია.

16.2 ციფრული სერტიფიცირება და ბლოკჩეინის გამოყენება

ციფრულ სერტიფიკატებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ პორტაბელურობას, ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ავთენტურობის გადამოწმებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მათი აღიარების პროცესს (MICROBOL, 2022)[15]. ციფრული ინსტრუმენტები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მთელი პროცესის განმავლობაში ეხმარება მიკროსერტიფიკატების მართვაში და გაცემაში, როგორც უფრო ფართო გაციფრულების სტრატეგიის ნაწილს, რითაც პასუხობს როგორც ინსტიტუციის შიდა, ისე გარე საჭიროებებს.

თანამედროვე საგანმანათლებლო გარემო სულ უფრო მეტად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს სწავლის შედეგების დაფიქსირებისა და აღიარების პროცესში. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციფრული სერტიფიცირების მექანიზმები და ბლოკჩეინზე დაფუძნებული სისტემები, რომლებიც ქმნის სანდო, გამჭვირვალე და მოქნილ გარემოს მიკროკრედიტების აღიარებისთვის.

[14] The Rise and Recognition of Micro-credentials Stacking Modules and the Future of the Qualification. 2022. https://www.nuffic.nl/sites/default/files/2022-03/The%20rise%20and%20recognition%20of%20micro-credentials.pdf

[15] MICROBOL (2022). Micro-credentials linked to the Bologna Key Commitments. Common Framework for Micro-credentials in the EHEA. https://microcredentials.eu/wp-content/uploads/ sites/20/2022/03/Micro-credentials_Framework_final-1.pdf

ციფრული სერტიფიცირება შესაძლებელს ხდის სასწავლო შედეგების ოფიციალური დადასტურების ისეთ ფორმატში წარმოდგენას, რომელიც დაცულია გაყალბებისა და უნებართვო ცვლილებისაგან. ევროკავშირის მიერ შემუშავებული European Digital Credentials for Learning (EDC) პლატფორმა სწორედ ამ მიზანს ემსახურება — იგი უზრუნველყოფს სერტიფიკატების წარმოებას, შენახვასა და გაზიარებას უსაფრთხო და სამართლებრივად სანდო ფორმატში. ამავე დროს, European Learning Model (ELM) განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იყოს სტრუქტურირებული ინფორმაცია სერტიფიკატში: სად და როდის იქნა მინიჭებული მიკროკრედიტი, რა მოცულობასა და განათლების დონის მახასიათებლებს შეესაბამება, როგორ შეფასდა სწავლა და რომელი ინსტიტუციის მიერ გაიცა სერტიფიკატი. ეს სტანდარტიზაცია უზრუნველყოფს მიკროკრედიტების ციფრული სერტიფიკატების ურთიერთგაცვლას სხვადასხვა ქვეყანაში და სისტემაში.

ბლოკჩეინის ტექნოლოგიების ინტეგრაცია ამ პროცესს კიდევ უფრო აძლიერებს. ბლოკჩეინზე დაფუძნებული სერტიფიკატები ინახება დეცენტრალიზებულ ქსელში, რაც გამორიცხავს მონაცემთა უკანონო ცვლილებას და ზრდის ნდობას როგორც დამსაქმებლებს, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. გარდა ამისა, ბლოკჩეინი ამარტივებს ვალიდაციის პროცესს: დამსაქმებელს შეუძლია რამდენიმე წამში გადაამოწმოს, რეალურად მიენიჭა თუ არა კონკრეტული მიკროკრედიტი კანდიდატს, დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის გარეშე.

ბლოკჩეინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ სერტიფიკატების ავთენტურობის უზრუნველსაყოფად, არამედ უწყვეტი განათლებისა და ღია საგანმანათლებლო რესურსების (OER) ინტეგრაციისთვისაც, რაც სწავლების უფრო მოქნილ და ღია მოდელს ქმნის.

ამგვარად, ციფრული სერტიფიცირების და ბლოკჩეინის დანერგვა მიკროკრედიტების აღიარებას აქცევს უფრო სწრაფ, გამჭვირვალე და სანდო პროცესად. ეს უზრუნველყოფს მიკროკრედიტების პორტაბელურობას — მიღებული სერტიფიკატები მარტივად შეიძლება იქნეს გაზიარებული და აღიარებული სხვადასხვა ქვეყანაში, განათლების სისტემასა და შრომის ბაზარზე. გარდა ამისა, ეს ტექნოლოგიები ამცირებენ ბიუროკრატიულ ტვირთს და ზრდიან ნდობას ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის.

ამასთან, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებისას უნდა უზრუნველყონ, რომ მათი მიდგომები შეესაბამებოდეს ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის პრინციპებს. ინტერპერატაბელურობა[16] წარმოადგენს ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც

[16] **ინტერპერატაბელურობა** (Interoperability) ნიშნავს სხვადასხვა სისტემის, ორგანიზაციის ან ტექნოლოგიური გადაწყვეტის შესაძლებლობას, ეფექტიანად, სანდოდ და უსაფრთხოდ გაცვალოს, გაიგოს და გამოიყენოს

განაპირობებს ციფრული სერტიფიკატების ეფექტიან და სანდო გაცვლას სხვადასხვა ინსტიტუციებს, ორგანიზაციებსა და იურისდიქციებს შორის.

ინფორმაცია. იგი უზრუნველყოფს, რომ ციფრული ინსტრუმენტები, პლატფორმები და სერტიფიკატები ფუნქციონირებდეს ინსტიტუციურ, ეროვნულ და სექტორულ საზღვრებს მიღმა, ინფორმაციის შინაარსისა და სიზუსტის დაკარგვის გარეშე.